

ქართული ენა

და

ლიტერატურა

სკოლაში

№3-4

1985

•

ყოველკვარტალური დამატება

საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიური

ჟურნალისა

სკოლა

და

ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის

გამომცემლობა

თბილისი

მოდგარი

არნოლდ ჩიქობავას შრომებზე ენათმეცნიერთა არა ერთი და ორი თაობა აღზრდილა. კარგად არის ცნობილი ამ შრომების ნათელი ტევადი ზუსტი და დახვეწილი სტილი, ღრმა აზრი და რკინისებური ლოგიკა. ამ თვალსაზრისით არნოლდ ჩიქობავას შრომებს არა მხოლოდ მეცნიერული ღირებულება მოეპოვება, არამედ ფრიად დიდი მნიშვნელობაც ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარებისა და დახვეწისათვის.

ქართველი ხალხი ყოველთვის განსაკუთრებული მგრძნობიარობით, სათუთად ეკიდებოდა თავის ეროვნულ საუნჯეს, თავისი მეობის უპირველეს ნიშანსვეტს — თავის დედაენას. საუკუნეების წიაღში წარმოქმნილი, ღრმა და უხვი, ძარღვიანი და ბარაქიანი, მადლიანი და გამძლე ქართული სიტყვა ჭირსა და ლხინში მოუცილებელ შემწედ ჰქონდა ქართველ კაცს. არნოლდ ჩიქობავას თაოსნობითა და მესვეურობით უკვდავი ძეგლი დაედგა ქართულ სიტყვას — ეს არის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული — ქართული ენათმეცნიერული აზრის გამონაშუქი.

ერთი შეხედვით, ქართული ენის შესწავლას ლოკალური მნიშვნელობა აქვს და უპირველესად ამ ენაზე მოლაპარაკეთათვისაა გამიზნული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართული და საერთოდ, ქართველური ენების სტრუქტურა, მათი შინაგანი თავისებურებანი და მათი ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულების მქონეა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, რომ ამ ენათა ბუნების გაუთვალისწინებლად ფრიად ნაკლული იქნება ჩვენი წარმოდგენა საერთოდ მსოფლიო ენობრივი სამყაროს შესახებ. ამის წარმოსაჩენადაც ბევრი რამ გააკეთა არნოლდ ჩიქობავამ და, თუკი დღეს ქართულ ენათმეცნიერულ სკოლას მსოფლიოს მასშტაბით აქვს სახელი მოხვეჭილი, ამაში უდიდესი წვლილი ბატონ არნოლდს მიუძღვის.

კავკასია ხშირად გამხდარა სხვადასხვა ხალხთა ქიშპობისა

#246#

და რბევის ასპარეზი. ამან თავისი დალი დაასვა მის მძიმე ისტორიას. წარსულში არაერთი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე ცდილა კავკასიის ხალხთა სულიერ გაერთიანებას, მაგრამ ისტორიის ბედუკუდმართობის გამო ეს ცდები უმეტესწილ უშედეგოდ დამთავრებულა. არნოლდ ჩიქობავა უპირველესთაგანია იმ რჩეულთა შორის, რომელთაც იტვირთეს კავკასიის დარღვეული მთლიანობის აღდგენა და ამ მოღვაწეობას საფუძვლად კავკასიელ ხალხთა ენის, ისტორიისა და კულტურის კვლევა დაუდეს. კავკასიელ ხალხთა ოდინდელი ერთიანობის შესწავლას მიუძღვნა არნოლდ ჩიქობავამ არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი საენათმეცნიერო ნაშრომი — მრავალმხრივ ფასეული როგორც მეთოდოლოგიის, ასევე საკვლევი მასალის მიხედვით.

არნოლდ ჩიქობავას ყოველი საჯარო გამოსვლისა თუ კერძო საუბრის შემდეგ მსმენელი სულიერად და გონებრივად გამდიდრებული და განწმენდილი ხდებოდა. მისაბამი იყო მისი ლექციების ლოგიკურობა, მომაჯადოებელი — მისი დარბაისლური ქართული.

თავისი მოწოდებით არნოლდ ჩიქობავა მოძღვარი იყო.

ღრმა და ახალი მეცნიერული აზრი, გადმოცემული ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით, უბრალო კერძო საუბარიც კი, გამოყენებული მოსაუბრის მეცნიერული ინტერესების გასამდიდრებლად და დასახვეწად, პირადი მაგალითი მეცნიერების უანგარო სამსახურისა — აი, ის, რაც განსაკუთრებით ფასეულია ცოდნის ყოველი მსურველისათვის და რასაც იგი უხვად იღებდა ბატონი არნოლდისაგან.

არნოლდ ჩიქობავა ყოველთვის დაუზოგავად მონაწილეობდა არა მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერების, არამედ სტუდენტთა სამეცნიერო სესიებშიც კი როგორც

მრჩეველი და დამრიგებელი. მას ხალისს მატებდა ახალგაზრდებთან ურთიერთობა. მისგან სწავლობდნენ მეცნიერებისათვის თავდადებას.

არნოლდ ჩიქობავას წილად ხვდა შეექმნა მთელი ეპოქა

#247#

ქართულ ენათმეცნიერებაში. მის კოლოსალურ შემოქმედებას საფუძვლად ჰქმნარიტი ეროვნული სულისკვეთება ედო ყოველთვის.

საქართველოს ბევრი რამ გადახდენია თავს, ხშირად დატრიალებულა უკუღმა მისი ბედის ჩარხი, მაგრამ, საბედნიეროდ არც ერთგული შვილები მოჰკლებია, რომელთაგან რჩეულნი ერის სულიერი სიძლიერის შენარჩუნებას, ერის თვითშეგნების განმტკიცებას, ერის გონებრივ ამაღლებას უძღვნიდნენ მთელ თავის ცხოვრებას.

ამ რჩეულთა რიგს განეკუთვნება არნოლდ ჩიქობავა — როგორც მეცნიერი და როგორც პიროვნება.

ბესიკ ჯორბენაძე